ხუცება

მოწოდება ჭეშმარიტებისკენ

ISLAM KONSULTATIVI
IRSIS
საერთაშორისო ინსტიტუტი
INTERNATIONAL INSTITUTE FOR ISLAMIC CONSULTATION

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن حاولو مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ხუცება- მოწოდება ქრისტიანებისაკენ

muslim georgia
muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

წარსულიდან დღემდე ხუტბას შესახებ	7
შუამავლის ქადაგებები	12
ლექსით, ხუტბათი და ქადაგებებით ჭეშმარიტი სიტყვა მეჰმეთ აქიფ ერსოი	23
ათათურქის შეხედულება ხუტბას შესახებ და ხუტბა ბალიქესირში	29
დღევანდელი ხუტბა	35
ხუტბადან მოლოდინები	46
კუთხვარი ხუტბას შესახებ	50

muslim georgia
muslim georgia union
muslim georgia
muslim georgia union
muslim georgia
muslim georgia union

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ნაოსულიდან დღემდე ხუტბას შესახებ

ნესიმი იაზიჯი

როგორც ცნობილია ჰანეფის მიმდევრობის სწავლულთა უმრავლესობა, მათ შორის ებუ იუსუფი და იმამი მუჰამმედი მიიჩნევენ, რომ ხუტბას არაბულად წაკითხვა აუცილებელი პირობაა. ამის საპირისპიროდ თავად ებუ ჰანიფე და სხვა ჰანეფი სწავლულები ამ შეხედულებას არ იზიარებენ და თვლიან, რომ ხუტბა შესაძლებელია სხვა ენაზეც იქნას წაკითხული. ჩვენ ოსმალეთის ისტორიას რომ გადავხედოთ და დავიწყოთ ძიება იმპერიის დასაწყისიდანვე რა ენაზე კითხულობდნე ხუტბას, საამისოდ ზუსტი წყაროები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს დანამდვილებით ვიცით, რომ ხუტბას ენასთან დაკავშირებული პრობლემები და პრეტენზიები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო აშკარა გახდა.

ოსმალთა პერიოდში პირველი ხუტბა ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკთა დროს, ქარაჯაჰისარის (დღევანდელი ესქიშეჰირი) რაიონში, იგივე სახელობის სოფლის მეჩეთში იქნა შესრულებული. ხუტბა წაიკითხა დურსუნ ფაქიჰმა. ეს იყო დაახლოებით 1289 ან 1291 წელი. ამ დღიდან მოყოლებული ყოველთვის ოსმალთა სულთნის სახლით კუთხულობდნენ ხუტბას. ეს ასე გრძელდებოდა როგორც ადგილზე, ისე ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც ოსმალთა გავლენა ვრცელდებოდა. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის, აფრიკის და ევროპის კონკრეტულ ტერიტორიებზე ოსმალთა მმართველობიდან გასვლის შემდეგაც იგივე გრძელდებოდა. ანუ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ ნაწილს, რომ მთელ ამ ტერიტორიასა და მთელ ამ პერიოდში ხუტბა სრულდებოდა არაბულ ენაზე.

ზოგადად ზუტბა, როგორც ქადაგება მრევლს უნდა ესმოდეს, ამიტომ ისეთ ადგილებში, სადაც არაბული ენა არ ესმოდათ მისი არაბულად წაკითხვა კითხვის ნიშნებს ბადებდა. ოსმალებმა ამ პრობლემას ნაწილობრივ მოუძებნეს გამოსავალი და ჯუმის ლოცვის შემდეგ არაბულის მცოდნე იმამები მრევლს იმდღინდელი ხუტბას თემას განუმარტავდნენ ხოლმე. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს

მხოლოდ დიდ ქალაქებში, რამოდენიმე მეჩეთში ხდებოდა.

თურქულენოვან რეგიონებში ხუტბას თურქულად წაკითხვის საკითხი, პირველად ოსმალებთან ერთად ყაზანშიც წამოიჭრა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს საკითხი უფრო მეტად აქტუალური გახდა. საკითხის შესახებ აქტიურად იწერებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ზოგ მეჩეთებში ხუტბას უკვე თურქულ ენაზე კითხულობდნენ, ზოგან კი ჯერ არაბულად წაიკითხავდნენ, ხოლო შემდეგ იგივეს იმეორებდნენ თურქულად. ამ საკითხს საბოლოო გადაწყვეტილება მაინც რესპუბლიკის დაარსების პერიოდს ემთხვევა. 1922 წლის 22 ნოემბერს ჰოჯა მუფიდ ეფენდიმ ხალიფა აბდულმეჯიდის სახელით არაბული ლოცვა-ვედრების შემდეგი ნაწილი თურქულად წაიკითხა. ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ საკითხის მიმართ უფრო დამაჯერებელი გადაწყვეტილება მიიღო.

ხუტბას საკითხი 1925 წლის თებერვალში კიდევ ერთხელ გააქტიურდა და ის თურქეთის მეჯლისში გაიტანეს განსახილველად. წარმოიშვა პრობლემა, რომ მთელი თურქეთის ტერიტორიაზე არ იყო საკმარისი მქადაგებლები, რომლებიც ხუტბას თურქულად მოამზადებდნენ და ამას მრევლთან წაიკითხავდნენ. ასევე არ იყო

ხუტბათა კრებული, რომლითაც იმამები ისარგებლებდნენ. აღნიშნული მსჯელობის შედეგად სულ მცირე ხანში აჰმეთ ჰამდი აქსექმა დაწერა ხუტბათა კრებული.

აჰმედ ჰამდი აქსექის ხუტბათა კრებული 1927 და 1928 წლებში ორჯერ დაიბეჭდა. აღნიშნული ხუტბათა კრებული 51 ხუტბას შეიცავდა და ის დიდი ხნის განმავლობაში იმამების ერთადერთი სახელმძღვანელო იყო. 1936-1937 წლებში იგივე მწერლის ავტორობით შეიქმნა უფრო დიდი სახელმძღვანელო, რომელიც 980 გვერდისგან შედგებოდა.

ამის შემდეგ აღნუშნული ხუტბათა კრებულის გამოცემა და ანალიზი ითავა ცნობილმა რელიგიურმა სწავლულმა ქამილ მირასმა. მან ამ კრებულს დაურთო ეპილოგი, რომელიც ხუტბას თემას და ზოგად მიმოხილვას შეეხებოდა. ამ წერილში მის მიერ დართული ეპილოგიდან ამოღებულ ცალკეულ ნაწილებს შემოგთავაზებთ:

„ჩვენში ხუტბა და ზოგადად ქადაგება ამ დრომდე საკმაოდ უყურადღებოდ დარჩენილი სფერო იყო. წლების განმავლობაში ჩვენს იმამებს ჰქონდათ წარსულში დაწერილი, გაურკვეველი ავტორის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო, რომელიც ძირითადად თვეების მადლიანობის შესახებ

იყო. ეს ყველაფერი იყო არაბულ ენაზე და მრევლი ვერაფერს ხვდებოდა. ასევე დაშვებული იყო უხეში შეცდომებიც. შედეგად ჯამაათი ისმენდა, მაგრამ ცოდნას ვერ იღებდა.

არადა ღვთის წინაშე ერთ-ერთი გამორჩეული მნიშვნელოვანი ღვთისმსახურება ჯუმის ნამაზია. აღნიშნული ღვთისმსახურების შესრულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხუტბას. დღეს რწმენის ნათელი და ღვთისმსახურების სურვილი ადამიანებში მხოლოდ და მხოლოდ ეფექტური ქადაგებით გაღვივდება და არა ძალდატანებით. გამომდინარე აქედან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხუტბას და ეფექტურ ქადაგებას.

ამ მნიშვნელოვან კრებულში გარდა მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, ასევე არის დიდი გულწრფელობა ღმა ხედვა. წარსულიდან დღემდე მრავალი რელიგიური ლიტერატურა შექმნილა, მაგრამ კონკრეტული კვირის აქტიურ საკითხებს არცერთი მათგანია რ ეხებოდა. აქ მივდივართ დასკვნამდე, რომ ხუტბას მნიშნელობა ბოლომდე არ იყო გააზრებული. თუმცა ხუტბა არის საშუალება მიმართო მილიონობით მორწმუნეს. შუამავალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხუტბას და მისი მნიშნელობის გაუბრალოება განა ცოდვა არ იქნება?

შუამავლის ქადაგებები

ვეისელ ნარგულ

ხუტბას განმარტება და მნიშვნელობა

ხუტბა ჯუმისა და ბაირამის ნამაზების დროს შესრულებული ქადაგებაა. ის სრულდება მეჩეთში ან მეჩეთის სტატუსთან გათანაბრებულ ადგილას. შესაბამისად ხუტბა ძირითადად მოიცავს კონკრეტულ დროისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მრევლზე გაცნობას. ცნობილია, რომ შუამავალი ბაირამისა და ჯუმის გარდაც კითხულობდა ხუტბას, მაგალითად წვიმის ვედრებისას, ომის დროს და ა.შ. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვედა, ანუ გამოსამშვიდობებელი ქადაგება.

ხუტბა, ხალხისადმი მიმართვაა და ის ისლამამდელ არაბეთშიც საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო. შუამავლის პერიოდში ხუტბა სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ. ამ პერიოდში ის ჩამოყალიბდა და მიიღო

ჩვეული ფორმა. გარდა ღვთისმსახურებისა ხუტბა ატარებს საგანმანათლებლო ფუნქციას, რითიც მილიონობით ადამიანი სარგებლობს. ხუტბა ზოგადად კვირაში ერთხელ სრულდება და მრევლისათვის მნიშვნელოვანი შემეცნებითი მნიშვნელობის მატარებელია.

ჰზ. შუამავლის ქადაგებები

ხუტბა შუამავლის ჰადისებშიცაა დაფიქსირებული და შუამავლის მიერ წაკითხული ხუტბეების მაგალითები დღევანდელობამდეა მოღწეული. მრავალი ჰადისითაა ცნობილი, რომ შუამავალი პარასკევობით ნამაზის წინ, ბაირამის დღეებში ნამაზის შემდეგ და ასევე სხვა და სხვა დროსა და ადგილებში კითხულობდა ხუტბას.

გადმოცემის თანახმად პირველი ხუტბა შუამავლის მიერ შესრულდა ისევ თავისივე სახლეობის მეჩეთში, მედინაში. მას შემდეგ ხუტბა ჯუმისა და ბაირამის ნამაზები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ხუტბა ერთ-ერთი საშუალებაა მუსლიმი მრევლისთვის რელიგიური დებულებებისა და მორალური წესების გასაცნობად. ის შუამავლის პერიოდიდან დღემდე აქტუალურია და მრევლის გათვითცნობიერების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

შუამავლის შემდეგ პერიოდში ხუტბა სისტემატიურად ინარჩუნებდა აქტუალურობას. შესაბამისად იქმნებოდა ხუტბათა კრებულებიც. დრეს ჩვენ ზუსტი მტკიცებულება არ გვაქვს იმის შესახებ თუ რომელ ხუტბას კითხულობდა შუამავალი ჯუმისა თუ ბაირამის ნამაზებზე. თუმცა ცნობილია, რომ შუამავალი ჯუმისა და ბაირამის ნამაზების გარდა სხვა დროსაც მიმართავდა ხალხს.

შუამავლის ქადაგების ფორმები

შუამავლის ხუტბა ზოგადად დიდი ხანი არ გრძელდებოდა. უფრო მეტიც, არსებობს ვარაუდი, რომლის თანახმადაც შუამავალი გვირჩევდა ხუტბა მოკლედ წაგვეკითხა. „ნამაზის ხანგრძლივობა და ხუტბას მოკლედ წარმოთქმა ადამიანის ცოდნის ნიშანია. ამიტომ ხუტბა მოკლედ, ხოლო ნამაზი ხანგრძლივად შეასრულეთ“. (მუსნედ, 4)

ამ ჰადისით ნათელი ხდება, რომ ხუტბა დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს. ასევე ცნობილია, რომ არსებობდა გამონაკლისებიც და შესაფერისი სიტუაციის მიხედვით შუამავალი ხუტბას ხან მოკლედ, ხან კიდევ გრძლად კითხულობდა. ბუნებ-

რივია დაგეგმილი ხუტბა უფრო მცირეხნიანი იყო, ვიდრე დაუგეგმავი. ბუნებრივია გაჩნდება კითხვა, როგორ უნდა განვსაზღვროთ კონკრეტული ხუტბა ხანმოკლეა თუ ხანგრძლივი? შუამავლის ხუტბა რამდენი ხანი გრძელდებოდა? ჩემი აზრით ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული და ზუსტი კრიტერიუმი არ არსებობს.

შუამავლის ხუტბათა შინაარსი

რაც შეეხება ხუტბათა შინაარსს, ცნობილია რომ ის სხვადასხვაგვარი იყო. ყოფილა შემტხვევები, როდესაც შუამავალი მხოლოდ აიათებისა და სურების წაკითხვით შემოიფარგლებოდა ხოლმე. გარდა ამისა შუამავალი სიტუაციისა და საჭიროების მიხედვით ქადაგებდა. მაგალითად მისი ვაჟის, იბრაჰიმის გარდაცვალების დღეს მზე დაბნელდა. ზოგი ამ მოვლენას იბრაჰიმის სიკვდილს უკავშირებდა. შუამავალმა იმ დღის ხუტბაში ამ საკითხზე ისაუბრა და ამგვარ მოარულ ხმებს პასუხი გასცა. ხალიფების დროსაც მრევლი ხუტბას საშუალებით გებულობდა თუ რა მოხდა მნიშვნელოვანი იმ პერიოდში. ეს დასტურია იმისა, რომ შუამავალიც იგივე მიზნით ქადაგებდა და ხალიფების დროის სტილი მის მიერ იყო დანერგილი.

ცნობილია, რომ შუამავალმა პირველი ხუტბა მედინაში წაიკითხა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მედინას პერიოდი ათი წელი გრძელდებოდა, იქ ნაქადაგევი ჯუმის ხუტბათა ჯამური რაოდენობა ხუთასამდე უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ ამ ხუტბათა შესახებ ზუსტი ცნობები და ნარკვევები არ მოიპოვება.

მისი ხუტბა ღმერთის დიდებას, ქებას, ღვთიური წყალობისადმი მადლიერებას და ისლამის პრინციპების გაცნობას ეხებოდა. ქადაგებისას შუამავალი მრევლს უხსნიდა ამქვეყნიური ცხოვრების წესებს და ასევე საიქიოსთან დაკავშირებულ საკითხებს. ასწავლიდა მადლიერების გამოხატვას, ღვთისმსახურებას და ასევე აფრთხილებდა მრევლს იმ ცოდვების შესახებ, რომლებიც საიქიოში სასჯელის მიზეზი გახდებოდა.

შუამავალმა ერთ-ერთ ოსტატს პატარა, სამსაფეხურიანი „მინბერი“ გააკეთებინა, ქადაგების დროს ამ მინბერზე ადიოდა და ისე მიმართავდა ხალხს. ის არამარტო მინბერზე კითხულობდა ხუტბას, ასევე არსებობს ვარაუდი, რომ მშვილდზე დაყრდნობილსაც უქადაგია და ამხედრებულ მდგომარეობაშიც.

შუამავლის პირველი და უკანასკნელი ხუტბა

1. როგორც ცნობილია, შუამავალი ჰიჯრის შემდეგ მედინას მახლობლად სოფელ ქუბაში თოთხმეტი დღე დარჩა. ამის შემდეგ პარასკევ დღეს მის შესახვედრად მოსულ მედინელებთან ერთად მედინასკენ აიღო გეზი. გზაზე სალიმ ბინ ავფის მემკვიდრეების დაბლობი იყო, სადაც შუამავალმა ორი ხუტბა წაიკითხა და მრევლთან ერთად ჯუმა ნამაზი ილოცა. პირველ ხუთბეში ღვთის სადიდებელი აღავლინა, ხოლო შემდეგ ბევრ საკითხებს შეეხო, მათ შორის გამოაცხადა, რომ ჯუმის ლოცვა უკვე სავალდებულო გახდა. მეორე ხუტბაშ შუამავალმა რწმენის პირობებზე ისაუბრა მრევლს შეახსენა სცოდნოდათ ღვთიური წყალობა და მადლიერნი ყოფილიყვნენ.

2. შუამავლის უკანასკნელი ხუტბა ენსარებს ეხებოდა. შუამავალმა რჩევა-დარიგებები მისცა მათ. ამის შემდეგ შუამავალი მეჩეთში აღარ მისულა.(იბნ სად,2. 251). შუამავალმა ამ ხუტბაში ბრძანა, რომ მუსლიმების მიერ დღეში ხუთი დროის ნამაზის ერთად ლოცვა დიდი მადლი იყო და ვინც ასე მოიქცეოდა განკითხვის დღეს „ბეწვის ხიდზე“ ელვასავით გაიქროლებდა.

შუამავლის მიმართვის ფორმები

შუამავლის მოვლინების პერიოდში არაბეთში უმეცრების ხანა იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ლიტერატურა და ორატორული ხელოვნება საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა.

ცნობილია, რომ შუამავალი საუკეთესო თვისებებით შემკული მოევლინა იმ ეპოქას. შუამავალი სიტყვის ხელოვნებას ძალიან კარგად ფლობდა და ამ თვისებით გამორჩეული იყო. ისლამის ისტორიაში ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელების საქმეში ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი სწორედ რომ ქადაგება და სიტყვის ხელოვნება იყო. შუამავალიც ამ მეთოდს ძალიან ეფექტურად იყენებდა. შუამავლის მეტყველების ფორმები სამ ნაწილად შეიძლება გავყოთ:

1. შუამავალის მიმართვა მოკლე და გასაგები სიტყვებისგან შედგებოდა. მისი ხუტბაც მოკლე და გასაგები იყო ყოველთვის. მის საუბარში ვერ აღმოაჩენდით რაიმე გადაჭარბებულს და მისი სიტყვები ყოველთვის აშკარა სიმართლეს გამოხატავდნენ. შუამავალი სიტყვას ზედმეტად არ აგრძელებდა. როგორც კი რამეს იტყოდა, მსმენელი მაშინვე ხვდებოდა თუ რას გულისხმობდა ის.

2. შუამავალი საჭიროებისდა მიხედვით საუბრობდა. თუ არ იყო საჭიროება შუამავალი არ ლაპარაკობდა. ლაპარაკს თუ იწყებდა სიტყვას ბოლომდე ამბობდა. საუბრისას ყოველთვის ცდილობდა მსმენელის მდგომარეობა გაეთვალისწინებინა და ყველასთვის გასაგებად ესაუბრა. ამის გამო ზოგჯერ სიტყვას სამჯერ იმეორებდა. ამით სურდა დარწმუნებულიყო, რომ მისი სიტყვები ადამიანთა გონებაში და გულში საკმარისად აღწევდა. განმეორება იმის ხაზგასმა იყო, რომ კონკრეტული სიტყვა სწორი და მიზნის შესაბამისი იყო. სასურველია დღევანდელმა იმამებმაც, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ მომზადებულ წერილობით ხუტბას კითხულობენ, მნიშვნელოვანი ადგილები გაიმეორონ ხოლმე.

3. საუბარისას შუამავალი ზუსტ ჯესტიკულაციასა და მიმიკას იყენებდა. მისი სიტყვები და მიმიკა ჰარმონიულად იყო შეხამებული. ასეთი ჰარმონიულობა მსმენელზე უდიდეს გავლენას ახდენდა. საუბრისას ასევე ისეთ სიტყვებს იყენებდა, რომელთა ჟღერადობაც მოცემულ სიტუაციას ზუსტად შეესაბამებოდა. როგორც ვთქვით საუბრისას ეფექტურად იყენებდა ჟესტიკულაციასა და სხეულის ენას. სიტყვების შინაარსის მიხედვით საუბრისას ხმას ხან აიმაღლებდა, ხან კიდევ დაუწევდა. ზოგ-

ჯერ საუბრისას გაბრაზებასაც გამოხატავდა. საუბრისას წინა კბილები ყოველთვის უჩანდა და მნახველებში ისეთ სიმპათიას აღძრავდა, თითქოს ვარდმა იხარაო.

და ბოლოს, შუამავლის ქადაგებები შეიცავდა როგორც ცხოვრებისეულ ასპექტებს, ისე სულიერ წრთვნაზე ორიენტირებულ დარიგებებს. ამ ქადაგებებში იყო ინდივიდუალური და საზოგადოებრივი პრობლემების ანალიზი და გადაჭრის გზები. გამომდინარე აქედან დღევანდელი ქადაგებები მიმდინარე პრობლემების ანალიზს და გადაჭრის გზებს უნდა ეხმიანებოდეს. ამ მიმართულებით კი რა თქმა უნდა შუამავალი უნდა იყოს ჩვენი გზამკვლევი.

შუამავლის გამოსამშვიდობებელი ქადაგება

632 წელს, ზილჰიჯჯეს მთვარის მე-9 დღეს, შუამავალმა არაფატზე 124 ათასამდე მორწმუნესთან ერთად მთელ კაცობრიობას მიმართა. ამ ქადაგებაში ისლამის მნიშვნელოვანი პრინციპები გაჟღერდა.

ეს გამოსამშვიდობებელი ქადაგება იყო და შუამავალი მალე სამარადჟამო სასუ-

ფეველში უნდა წასულიყო, ამიტომ მან გამოხატა, რომ მის სიტყვებს ყველაზე დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა.

ამ ხუტბას დროს შუამავალმა ბრძანა, რომ ადამიანის სიცოცხლე, ქონება, ნამუსი და ღირსება წმინდაა და ყოველგვარი ხელყოფისგან დაცული უნა იყოს.

ამ ქადაგებისას შუამავალმა კიდევ ერთხელ შეახსენა მორწმუნეებს, რომ სიკვდილი გარდაუვალია და ადრე თუ გვიან გამჩენის წინაშე განკითხვა აუცილებლად მოხდება.

შუამავალმა ასევე შეახსენა მორწმუნეებს, რომ მიბარებული ხელშეუხებელია და ყველამ აუცილებლად უნდა დაუბრუნოს თავის პატრონს.

შუამავალმა მორწმუნეებს აცნობა, რომ პროცენტი სასტიკად აკრძალულია და მორწმუნეებმა მისგან თავის შორს უნდა დაიჭირონ. ასევე მან ბრძანა, რომ აღებული ვალი აუცილებლად უნდა იქნას გასტუმრებული.

ამ ქადაგების დროს უმეცრების ხანიდან მოყოლებული სისხლის აღების წესი აიკრძალა.

რაც შეეხება ქალთა უფლებებს, შუამავალმა გააფრთხილა მორწმუნეები, რომ დაეცვათ ქალთა უფლებები და ამ საკითხთან დაკავშირებით ღვთის შიში ჰქონოდათ.

შუამავალმა მორწმუნეებს შეახსენა, რომ ორი მნიშვნელოვანი ამანათს ტოვებდა. ესენი იყო ღვთის წიგნი ყურანი და შუამავლის სუნა.

ასევე იკრძალა ომის წარმოება ზილყადეს, ზილჰიჯჯეს, მუჰარრემისა და რეჯების თვეებში.

შუამავალმა მორწმუნეებს მოუწოდა, რომ ერთიანობა და თანასწორობა დაეცვათ. ყველანი ადამის მოდგმა ვართ და არავინ არავისზე უპირატესი არ არის. ღვთის წინაშე უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობაშიაო,ბრძანა მან.

შუამავლმა მორწმუნეებს ურჩია გულწრფელად მოკიდებოდნენ ღვთისმსახურებას და მოუწოდა შეესრულებინათ ხუთი დროის ნამაზი, რამადანში მარხვა და ზექათი.

ბოლოს შუამავალმა იქ მყოფებს სთხოვა მოწმენი ყოფილიყვნენ იმისა,რომ მან სარწმუნოება სრულად გააცნო და აუხსნა მათ.

ლექსით, ხუტბათი და ქადაგებებით ჭეშმარიტი სიტყვა მეჩეთ აქიფ ენოლი

სონერ გუნდუზოზ

ის ჭეშმარიტების გამომხატველი ძლიერი სიტყვა იყო. ხან ბერლინში, ხან უდაბნოების მიღმა მედინაში, ხანაც სტამბოლში, სულეიმანიეს მეჩეთში, ფათიჰის მეჩეთში, ბეიაზითის მეჩეთში...

მისი ხმა ხან ბალიქესირში, ზაღანოს ფაშას სახელობის მეჩეთში ისმოდა. ხანაც კასტამონში, ნასრულლაჰის მეჩეთში, ნგრევის პროცესში მყოფი იმპერიის შეფიქრიანებული ხალხის გულებს ეხმიანებოდა. გერმანიაში აფრიკელებმა, აზიელებმა, ტყვედ ჩავარდნილმა მრევლმა მის ხუტბას ეზიარნენ. იუსდორფის მეჩეთში მისი ქადაგების შედეგად ცრემლი დაიღვარა. ის თავისი სიტყვების სულის სიღრმეებამდე აღწევდა და თურქულ-ისლამურ კულტურაში დიდი წვლილი შეიტანა. ბოლოს კი უხმოდ დაგვტოვა და წავიდა. ის აქიფი

იყო. რა თქმა უნდა, მისი ცხოვრებაც ლექსის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

მისი სული პეპელას ფრთებივით ფაქიზი იყო, მაგრამ მას ჰქონდა რწმენა, რომელიც ფოლადის ჯავშანივით იცავდა.

აქიფი 1873 წელს დაიბადა. სულ პატარა იყო, როცა რუსეთ-თურქეთის ომი გამოსცადა. მოგვიანებით მისი მეგობარი, მითჰათ ჯემალ ქუნთაი ამბობდა: „ამ ომში სამი რამ უსაზღვრო იყო: ავადმყოფობა, შიმშილი და მშობლიური მიწა“...

ეს ხალხი ამ სირცხვილს ვერ აიტანდა. კავკასია, ჩანაქქალე, ბალკანეთი სისხლით მოირწყო. მერე ბურსა... ბურსაში მტერმა შეაღწიო, თქვეს... აქიფის პირიდან მთელი ერის გმინვა ლექსად იღვრებოდა...

აქიფი პირად გრძნობებს ყოველთვის გვერდზე ტოვებდა და ერის დარდით იყო გამსჭვალული. მისი ლექსები: „ავადმყოფი“, „კაფე“, „მამა სეიფი“, „ჩვილი“, დღესასწაული“, „უბნის ყავახანა“ და სხვები ამ მისწრაფების და ტკივილის აშკარა დადასტურება იყო. ის ყველას ტკივილით იყო დაავადებული.

ის ფუჭი და ღირებულებებისგან დაცლილი იდეები ჭეშმარიტებას ებრძოდა. ამ ჭეშ-

მარიტებას ხედავდა და ახმოვანებდა აქიფი. მისი ეს ხმა ქვეყნის თავზე ჩამოწოლილ შავ ღრუბელს უმოწყალოდ ფანტავდა. ბევრი ტკივილი იყო. ბალკანეთის ომი, სტამბოლის რკინის გასაღები, ედირნე... მისი მტრის ფეხქვეშ გათელვისგან წამოსულ დიდ ტკივილს განიცდიდა მთელი ერი.

ბალკანეთის ომის ტრაგედია მთელი ერის ტკივილი იყო. ხალხში უიმედობა მძვინვარებდა. ამ დროს აქიფი სულეიმანიეს მეჩეთში ხალხს აფრთხილებდა, რომ საკუთარი კულტურისა და ღირებულებების დამკარგავი ერი ვერ იარსებებდა. ამ ტკივილის მიუხედავად ერი უნდა გამოფხიზლდეს და ფეხზე უნდა დადგესო, მოუწოდებდა. ჩანაკკალეს ომის დროს აქიფი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლ გმირ ჯარისკაცებს ეხმიანებოდა და ამხნევებდა.

ბერლინში ყოფნისას აქიფი ტყვედ ჩავარდნილ მუსლიმ ჯარისკაცებს შეხვდა და დიდხანს ესაუბრა. შემდეგ იქიდან რომ დაბრუნდა განსაკუთრებული დავალებით მედინაში წავიდა და ორი თვის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „უდაბნოდან მედინამდე“ დაწერა.

პირველ მსოფლიო ომში ოსმალების დამარცხებამ პოეტზე დიდი გავლენა იქო-

ნია. ის თვალცრემლიანი აღწერდა ამ მწუხარებას. ქვეყნის ყველა მხარეში წარმოუდგენელი სასოწარკვეთლება იგრძნობოდა. ყველგან ომი, შიმშლი და უიმედობა მძვინვარებდა. თუმცა აღმოსავლეთიდან უკვე ჩანდა გარიჟრაჟის მსგავსი ნათელი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ეს ნათელი ეროვნული გადარჩენის დასაწყისი იყო. ამ ძნელბედობის ჟამს აქიფი ანატოლიის სხვადასხვა მხარეში დაუღალავად მოგზაურობდა და თავისი საუბრებით, რელიგიური სწავლებით, ქადაგებებით და ლექსებით ხალხს მომავლის იმედს უსახავდა. დაუღალავი ბრძოლით ხალხის ეროვნული სულის და სიმტკიცის შენარჩუნებას ცდილობდა. ის დადიოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და ჯარისკაცების მორალური სიმტკიცისთვის ზრუნავდა. სადაც ის მიდიოდა პირდაპირ ხალხს მიმართავდა და ყველგან ოპტიმისტურ და იმედიან გზავნილებს ტოვებდა.

ის მეჩეთიდან მეჩეთში, სოფლიდან სოფელში, გზაში, კვალში, ყველგან დადიოდა და მთელ ანატოლიის მოსახლეობას სულიერად ამხნევებდა. სწორედ აქიფმა აუხსნა კასტამონში მოსახლეობას, რომ სევრის შეთანხმება ტყვეობა და დაცემა იყო. მისი საუბრის დროს ხალხთან ერთად „ნასრულლაჰის მეჩეთის კედლებიც კი თრთოდა“.

„ჰეი მუსლიმთა ჯამაათო! ერი არ ჩამოიშლება არც ზარბაზნებით, არც თოფებით და არც შეიარაღებული ჯარის თავდასხმით. ერი ჩამოიშლება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები ერთიმეორესთან კავშირს გაწყვეტენ, გათითოკაცდებიან, ყველა საკუთარი თავის შველას შეეცდება და ყველა საკუთარი გამორჩენისთვის იზრუნებს. როდესაც ციხესიმაგრე შიგნიდან ირყევა, ეს შენიშნა მტერმა და ისინი ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანდნენ და შექმნეს ერთობა, მაშინ როცა ჩვენ, მუსლიმებს გვჭირდება ეს ერთობა. ისინი თითო შეტევით ჩვენი სამშობლოს თითო ნაწილს იტაცებენ. მუსლიმებო, თვალი გავახილოთ და მაგალითი ავიღოთ!“

1920 წელს აქიფი ბალიქესირში, ზადანოს ფაშას სახელობის მეჩეთში ხალხს მიმართავს:

„როცა სამყარო ინგრეოდა შორიდან სეირს უყურებდით, ახლა კი საკუთარ სამშობლოში რა დღეში აღმოჩნდით“. ასე დაიწყო აქიფმა იმ დღეს საუბარი. თუ არ იმოქმედებ, ტყულად დარდსა და წუხილს რა აზრი აქვსო, ეკითხებოდა ხალხს. ის მოუწოდებდა ხალხს, რომ ყველამ სამშობლოსთვის ის უნდა გააკეთოს რაც შეუძლია და რაც ევალება. ამ დროს არავის აქვს უფლება გვერდზე გადგეს.

აქიფის ცხოვრება სულ ბრძოლით იყო ნაქსოვი. ის იყო პოეტი, საზოგადო მოღვაწე და ასევე სასულიერო პირი. განსხვავებით სხვა ლექსებისგან მის უკანასკნელი ლექსები მისტიციზმით იყო გაჟღენთილი. ეგვიპტეში ერთ მზიან დღეს გადაღებულ ფოტოში უდაბნოს ქვიშაზე გაწოლილი ჩრდილი მოხვდა. სურათს ასეთი რამ წააწერა:

„ყველა წასულა, აღარ არიან თანამგზავრები.

ეს შენღა დარჩი მარტო, შენი ტომისგან ასე შორს...

დროა შენივე ჩრდილთან ერთად წაიშალო და წახვიდე!“

მართალია ასე დაწერა, მაგრამ მისი ჩრდილი არ წაშლილა. მისი სამუდამო სამყოფელში გაცილება ბეიაზითის მეჩეთიდან მოხდა. ჩვენ ჯერ კიდევ გვესმის მისი ყოველი ხუტბა, რომელიც ამ მეჩეთში წარმოითქვამს.

ათათურქის შეხედულება ხუტბას შესახებ და ხუტბა ბალიქესირში

ალი სარიქოიუნჯუ

1923 წლის 7 თებერვალს ბალიქესირში, ზადანოზ ფაშას სახელობის მეჩეთში ათათურქმა ხუტბა წაიკითხა. მინბერიდან ჩამოსვლის შემდეგ მან ოცზე მეტ შეკითხვასაც უპასუხა. მათ შორის შეკითხვა შეეხებოდა ხუტბასაც. მისი პასუხი ასეთი იყო:

„ბატონებო, ხუტბა მიმართვას, ხალხზე მიმართვას, ანუ სიტყვით მიართვას ნიშნავს. ხუტბას მნიშვნელობა ესაა. როდესაც ხუტბას ახსენებენ ამისგან სხვადასხვა ტერმინები და მნიშნელობები არ უნდა გამოვიყვანოთ. ხუტბას ხატიბი კითხულობს, ანუ ის, ვინც სიტყვას წარმოთქვამს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შუამავალი სამან ცოცხალი იყო ხუტბას თავად კითხულობდა. თუ დავაკვირდებით შუამავლის და ასევე ოთხი დიდი ხალიფას ხუტბაებს, ყველა მათგანი იმ დღის მიმდინარე საკითხებს ეხებოდა. ესენი იყო იმ დღის სამხედრო, მმართველობითი, პოლიტიკური

და საზოგადოებრივი საკითხები. ისლამის მიმდევრების გამრავლების გამო პრაკტიკულად შეუძლებელი გახდა შუამავალს ან ხალიფებს რომ ყველას წინაშე ხუტბა წაეკითხათ, ამიტომ საჭირო გახდა სხვა ადამიანების ჩართულობა, რათა ხალხისთვის ხმა მიეწვდინათ. ისინი რა თქმა უნდა ყველაზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები იყვნენ. ისინი მეჩეთებში ან მოედნებზე ხალხის წინაშე წარსდგებოდნენ ხოლმე და ხალხის გათვითცნობიერების მიზნით მათ მიმართავდნენ. ეს მეთოდი რომ გაგრძელებულიყო, ჰქონდა პირობა, რომელიც გულისხმობდა, რომ ეს ადამიანი აუცილებლად ლიდერი უნდა ყოფილიყო, ხალხისთვის სიმართლე ეთქვა და ხალხსაც უნდა მოესმინა. მიმდინარე საკითხებში ხალხის გათვითცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყველაფრის ღიად დაფიქსირება ხალხის ზროვნების მექანიზმს ამოძრავებდა, ხალხს დადებითი და საჭირო რამეების კეთებისკენ უბიძგებდა და საზიანო აზრის განვითარებას და გავრცელებას ხელს უშლიდა. მოხდა ისე რომ დამალეს ის, რაც ხალხს ეკუთვნოდა. ასი, ორასი და უფრო მეტიც, ათასი წლის წინანდელი ხუტბას დღეს წაკითხვა ხალხის უმეცრებაში დატოვებას ნიშნავს. ჰათიბებმა უნდა ისწავლონ ისეთი მიმართვა, რომ ხალხმა ეს გაიგოს. შარშან პარლამენტში გამოსვლისას მე ვთქვი, რომ

მინბერები ხალხის გონებისა და სინდისის გაკეთილშობილების წყაროა. ეს ასე რომ იყოს მინბერიდან წამოსული სიტყვები ხალხს უნდა ესმოდეს. პატივცემულმა ჰათიბებმა თვალყური უნდა ადევნონ მიმდინარე პილიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს. თუ ეს არ ეცოდინებათ ხალხს მცდარ ინფორმაციას მიაწვდიან. გამომდინარე აქედან ყველა ჰაქიბმა თურქულად უნდა მიმართოს მრევლს და მათი ხუტბა ეპოქის გამოწვევებს უნდა პასუხობდეს."

ამრიგად, ათათურქის შეხედულებიდან გამომდინარე ხუტბა ხალხისთვის გასაგებ ენაზე უნდა ყოფილიყო და ამასთანავე ეპოქის გამოწვევებისთვის უნდა ეპასუხა. ისლამის ბრძანებაც ამ მიმართულებითაა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ყურანის აიათები:

„სწორედ, ასე გავაიოლეთ იგი შენს ენაზე, ეგებ გაიხსენონ და შეისმინონ!" (დუჰან 58)

„უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი არაბულად, ეგების მოგეხმოთ გონებისთვის!" (იუსუფ 2)

დღეისათვის იგივე აზრის გათვალისწინებით ყოველ ხუტბაში მიმდინარე საკითხების შესახებ რჩევა-დარიგებები თურქულ ენაზეა.

ათათურქი თავის მხრივ ხალხზე მიმართვის აუცილებლელ ფორმებზე შემდეგნაირად საუბრობს:

„ბატონებო, მეჩეთები ის წმინდა ადგილებია, საიდანაც ხალხის სულიერი და ზნეობრივი განვითარების წყარო მოედინება. გამომდინარე აქედან, მეჩეთებში წარმოებული ქადაგებები ხალხის გათვითცობიერებას, მათთვის სწორი გზის ჩვენებას და ამ საშუალების უზრუნველყოფას უნდა ისახავდეს მიზნად. ხალხისთვის იმ ენაზე მიმართვა, რომელსაც ის გაიგებს მათ გულსა და გონებაზე შეხმიანებას უზრუნველყოფს. ამით ისლამის საზოგადოებრივი სხეული გაჯანსაღდება, გონება დაიწმინდება, რწმენა გაძლიერდება და გული სიმამაცეს შეიძენს. საამისოდ საჭირო უნარების შეძენა კი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ცოდნას საჭიროებს.

ათათურქის მიერ წაკითხული ხუტბა

1923 წლის 7 თებერვალს მუსტაფა ქემალ ათათურქმა ბალიქესირში, ზაღანოს ფაშას მეჩეთში შუადღის ნამაზი მრევლთან ერთად ილოცა. ნამაზის შემდეგ ომში დაღუპული შაჰიდების სულის მოსახსენიებლად მევლუდი წაიკითხეს, ხოლო შემდეგ ათათურქმა ხალხს მიმართა:

„ხალხო, ღმერთი ერთია! მისი სახელი დიადია. მისი წყალობა, სიყვარული და სიკეთე არ მოგკლებოდეთ. შუამავალი მუჰამმედი ღმერთის მიერ მოვლენილი შუამავალი იყო, რომელიც მოვლენილი იყო რათა ხალხისთვის ჭეშმარიტება ესწავლებინა. ადამიანის ცხოვრებისთვის აუცილებელი ძირითადი კანონები, როგორც თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით, ყურანშია მოცემული. ჩვენი სარწმუნოება ისლამი ჭეშმარიტებაა და ის უკანასკნელი სარწმუნოებაა. ის უნაკლო და უნივერსალურია. ისლამი გონებას, ლოგიკას და ჭეშმარიტებას სრულად ასახავს. ეს ასე რომ არ იყოს მაშინ მისი კანონები ბუნების კანონებს აღარ შეესაბამებოდა. ამგვარი თანხვედრა არის დასტური, რომ სამყაროში არსებული კანონები ღმერთმა დაადგინა.

მეგობრებო, შუამავალს სამუშაოდ თუ საცხოვრებლად ორი სახლი ჰქონდა. ერთი თავისი სახლი, ხოლო მეორე ღმერთის სახლი იყო. საზოგადოებრივ საქმიანობას ღმერთის სახლში ეწეოდა. ჩვენც შუამავლის წმინდა გზა რომ გავაგრძელოთ აქ ვართ, ღმერთის სახლში, რათა ჩვენი ერის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე ვიმსჯელოთ. ჩემი აქ ყოფნის მიზეზი ბალიქესირის მორწმუნე და გმირი მოსახლეობაა.

ამის გამო მე ძალიან კმაყოფილი ვარ. იმედი მაქვს ამ მიზეზით დიდ მადლს ვეზიარები. ბატონებო, მეჩეთები იმისათვის არ არის აგებული, რომ იქ ერთმეორის სახეს არ შევხედოთ და ისე ვაკეთოთ მოძრაობები. მეჩეთები აშენებულია იმისათვის, რომ მივყვეთ წესებს, შევასრულოთ ღვთისმსახურება და ამასთანავე რელიგიისა და ქვეყნისათვის რისი გაკეთება შეგვიძლია იმაზე ვიმსჯელოთ. ერის მმართველობაში ჩაბმული ყოველი ადამიანის გონება ეფექტურად უნდა მუშაობდეს. აქ იმიტომ ვართ, რომ ვიმსჯელოთ რისი გაკეთებაა საჭირო ჩვენი რელიგიისა და ქვეყნისათვის. მე მხოლოდ ჩემი აზრის თქმა მინდა. ასევე მინდა გავიგო რას ვფიქრობთ ჩვენ ყველა. ერის აზრი, არის ხმა მხოლოდ ერთი ადამიანის აზრი და ხმა არ გახლავთ. ის მთელი ერის სურვილებსა და თითოეული პიროვნების აზრს უნდა ითვალისწინებდეს. გამომდინარე აქედან, გთხოვთ ყველამ მკითხოთ ის, რის გაგებასაც ჩემგან ელოდებით“.

ღღეესდელი ხუცბა

აჰმედ ჩექინ

ჯუმის ხუტბეები, გარდა იმისა რომ ღვთისმსახურებაა, ასევე არის ის მნიშნელოვანი საშუალება, რითაც მრევლი ხვდება სასულიერო პირს და მისგან მნიშვნელოვან რჩევა-დარიგებებს ისმენს. ჩვენი ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობა პარასკევობით სისტემატიურად დადის მეჩეთებში და რადგანაც ხუტბა ნამაზის ლოცვამდე იკითხება, ისინიც ამ ხუტბას უსმენენ. 1924 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაში ხუტბა თურქულ ენაზე სრულდება და მრევლის ნაწილისათვის მნიშნელოვანი ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ წყაროდ ითვლება. გარდა ამისა დაჩქარებულმა ურბანიზაციამ და სოფლიდან ქალაქებში ახლგაზრდა ოჯახების მასობრივმა ჩამოსახლებამ შექმნა რელობა, რომლის მიხედვითაც ოჯახებში რელიგიური ცოდნა შესუსტდა, რადგან ოჯახებში ამ ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემისთვის ხელსაყრელი

გარემო აღარ დარჩა. ჯუმის ხუტბა კი მეტნაკლებად ამ სიცარიელის შევსებას უზრუნველყოფს. ჩატარდა კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდა იმის დადგენას თუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო ქადაგებას ადამიანის გონებასა და გადაწყვეტილებებზე. შეირჩა ჯგუფი, რომელთა შეხედულებები სხვადასხვა საკითხის მიმართ, ჩაიწერეს და შემდეგ უკვე იგივე ჯგუფი სისტემატიურად უსმენდა ქადაგებებს მეჩეთში. აღნიშნული ქადაგებები ეხებოდა იმ საკითხებს, რომლებიც კვლევის კითხვარშიც იყო მოცემული. აღმოჩნდა, რომ ქადაგებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანების აზროვნებასა და საკითხისადმი დამოკიდებულებაზე, რადგან იგივე ჯგუფმა ქადაგებების შემდეგ საკმაოდ განსხვავებული პასუხები დააფიქსირა.

ამდენად მეჩეთში ქადაგებებს დიდი მნიშნელობა აქვს და დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მრევლის დამოკიდებულებასა და აზროვნებაზე. აქედან გამომდინარე ქადაგებას ვინც აწარმოებს ან ვინც წერს უნდა გაითვალისწინოს ბევრი რამ, რაც აუცილებელია ეფექტური ქადაგებისთვის და საზოგადოებრივი აზრის ნორმალურად წარმართვისათვის. აღნიშნული საკითხები შესაძლებელია რამოდენიმე ნაწილად დავყოთ:

ურბანიზაცია დაცივილიზაცია

ურბანიზაციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის 70 % ქალაქებში, ხოლო დარჩენილი 30 % სოფლებში ცხოვრობს. წარსულში ეს მაჩვენებელი თითქმის პირიქით იყო. ამგვარი ცვლილებები მოსახლეობის მრავალ სფეროზე ახდენს გავლენას. იცვლება ცხოვრების სტილი, ეკონომიკური მდგომარეობა, განათლება და სხვა. ამგვარმა ცვლილებებმა რელიგიურობის თვალსაზრისითაც იქონია გავლენა. შედეგად სოფლის მოსახლეობაში რელიგიურობის მაჩვენებელმა კლება დაიწყო, ხოლო ქალაქებში პირიქით, გაიზარდა.

ცხოვრების ისეთ სფეროებში, სადაც ქალაქური ცხოვრების სტილი უფრო მკაფიოა, ცხადად არის გამოკვეთილი რელიგიურობის მაჩვენებელიც. სოფლად მცხოვრებთათვის რელიგიის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ღვთისმსახურება და რელიგიური კანონების დაცვა, უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ როცა ქალაქელისთვის რელიგიური იდენტობის დამადასტურებელ ფუნქციებს უფრო მეტი ყურადღება ექცევა. არიგად ქალაქში მცხოვრები ადამიანი ქალაქის გამაუცხოებელი ეფექტის გასანეიტრალებლად რელიგიას შეეფარება ხოლმე, რათა უფრო უსაფრთხოდ უგრძნოს თავი.

ამ რეალობის გათვალისწინებით ყოველი ხუტბა ისე უნდა მომზადდეს, რომ უმრავლესობის, ანუ ამ 70 % მოსახლეობის მდგომარეობა და მზაობა იქნას გათვალისწინებული. ქალაქის ცხოვრებასთან დაკავშირებული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები, საზოგადოების დემოგრაფიული, სოციალური და კულტურული თავისებურებები და სხვა მსგავსი ის ფაქტორებია, რომლებიც მქადაგებლებმა უნდა გაითვალისწინონ.

ხუტბას ენა და წარმოთქმა

ხუტბა არის ხალხისადმი მიმართვა, რომელიც საზოგადოების რელიგიურ საკითხებში გათვითცნობიერებას ისახავს მიზნად. შესაბამისად ხუტბას მიზანს რომ მივაღწიოთ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა თემა, შინაარსი, სალაპარაკო ენა, მიმართვის ფორმა, სამიზნე ჯგუფის თავისებურებები, ხუტბას მიზანი და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენა და გამოყენებული ტერმინოლოგია. მუსლიმთათვის ჯუმა ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა და ხუტბაც ჯუმის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ხუტბა სარწმუნოების ძირითად პრინციპებს უნდა ეყრდნობო-

დეს და ამასთანავე ადამიანების სულიერ სამყაროზე გავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს. ცხოვრების დაჩქარებულმა წესმა ყველაფერთან ერთად სალაპარაკო ენის თავისებურებებიც შეცვალა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მოქმედი სფერო მას-მედიაა. მედიაში მომხდარი გადატრიალებები მოსახლეობის საშუალო ფენისთვის გასაგები ტერმინების შემცირებას იწვევს. სოფლად მცხოვრები ადამიანების სალაპარაკო ენა შეიძლება ნახევარზე მეტს რელიგიურ ტერმინოლოგიას შეიცავდეს, მაგრამ ქალაქში სავსებით პირიქითაა. ამდენად ქადაგებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრევლმა ყველაფერი გაიგოს და ამასთანავე მათი გაგების არეალის გაფართოებაზე უნდა ვიზრუნოთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფუნდამენტური ტერმინების გამოყენება. რელიგიამ პიროვნებას იდენტობა რომ მისცეს საამისოდ ერთ-ერთი ფაქტორი რელიგიური ტერმინების ცოდნა და გამოყენებაა. სეკულარული ენის გამოყენება ამ ტიპის მოთხოვნილებისთვის შეუსაბამოა. ხუტბას დროს ასევე მნიშნელოვანია საზოგადოების საერთო მდგომარეობის გათვალისწინება და არა ცალკეული გამონაკლისი ჯგუფების. ასე საშუალოდ აღებული მიმართვის ფორმა და მიზანი საზოგადოების უფრო მეტ ფენას გასწვდება.

ხუტბას ენის, შინაარსისა და მიმართვის ფორმებთან დაკავშირებით ზოგადი მიმოხილვა და პუნქტებად ჩამოყალიბება შეიძლება შემდეგნაირი იყოს:

ა) ხუტბას, ქადაგებისა და კონფერენციების დროს ფოკუსირება რელიგიური და ეროვნული ერთიანობის შესახებ უნდა კეთდებოდეს. საუბრების შინაარსი უნდა შეიცავდეს პრევენციულ აზრებს, რომლებიც ერთიანობას შესაძლო ზიანს მოუტანს.

ბ) მეჩეთში ქადაგების მიზანი ასევე უნდა იყოს ხალხის ცნობიერების ამაღლება და კულტურის განვითარება. ყურადღება უნდა გამახვილდეს სიყვარულის, პატივისცემის, შემწყნარებლობისა და სხვა დადებითი მიმართულებების კუთხით. მრევლმა უნდა იცოდეს რაოდენ ცუდი შედეგების მომტანია შური, გაუტანლობა, გულგრილობა და სხვა მსგავსი ნეგატიური მოვლენები სრულიად საზოგადოებისთვის.

გ) ხალხზე მიმართვის ფორმები და საუბრის სტილი ძალიან მნიშვნელოვანია. საჭიროა გულწრფელი და სანდოობის გამომწვევი დამოკიდებულება. საუბრის დროს ზომიერება, იმედიანობა და პოზიტივი აუცილებელია. გამოყენებული ტერმინებიც ამ ყველაფერს ხელს უნდა

უწყობდეს. დაუშვებელია დამანგრეველი, ზედმეტი, გადაჭარბებული, მოსაბეზრებელი სტილით საუბარი და შესაბამისი ტერმინების გამოყენება.

დ) მრევლთან საუბრის დროს პოლიტიკური და პირადული საკითხები არ უნდა განიხილებოდეს.

მეჩეთში განხორციელებული მოწოდებები ყველას თანაბრად უნდა ეხებოდეს, რათა მრევლს შორის განხეთქილების ან კამათის მიზეზი არ გახდეს. ასევე არ უნდა გამოიწვიოს პოლიტიკური სპეკულაციები. მეჩეთში მოსული ყველა ფენის, ეთნიკური თუ პოლიტიკური კუთვნილების ადამიანი თანაბრად უნდა ღებულობდეს იმ ინფორმაციას, რასაც მოწოდებებში მოისმენს და ყველასთვის მისაღები უნდა იყოს.

ხუტბას დროს გამოყენებული ლექსიკა და შინაარსი შემეცნებითი ხასიათის უნდა იყოს. ასევე ყურადღებით უნდა იქნას გამოყენებული მაგალითები და არგუმენტებიც. საუბრის დროს აიათებისა და ჰადისების გამოყენებისას მთელი სიზუსტე უნდა იქნას დაცული. მხოლოდ ასეთი ფორმით მიწოდებული ხუტბა შეიძლება მრევლმა ბოლომდე ვერ გაიგოს, ამიტომ შესაბამისი განმატრებები აუცილებელია. მაგალითად თუ მოძღვარი ღვთისმსახურების მნიშვნელობაზე სა-

უბრისას მოიყვანს მაგალითს, რომ შუამავალი ფეხების დასივებამდე ლოცულობდა, აქ მისი გზავნილი ზუსტად უნდა მიტანოს მრევლთან და მრევლი ღვთისმსახურების მნიშვნელობაზე დააფიქროს და არა შეაშინოს და ღვთისმსახურების სირთულეზე აფიქრებინოს.

ხუტბას დროს აუცილებელია მაგალითების მოყვანა,მაგრამ ასევე აუცილებელია იქ მყოფი მრევლის რეალური ცხოვრების შესაბამისი მაგალითების გაცნობაც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხუტბას თემა. თემის არჩევისას მოძღვარმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა გლობალიზაციის პროცესი და ამის რელიგიასთან კავშირი, საზოგადოებრივი პრობლემები, მრევლის მოთხოვნილებები და სხვა. როდესაც მრევლი პარასკევობით ან ბაირამის დღეებში მეჩეთში მიდის, მათ აინტერესებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე საკითხების რელიგიური შეფასებები, ამიტომ მათ ეს ინფორმაცია უნდა მიიღონ. არის შემთხვევები, როცა ზოგი საკითხის მიმართ მცდარი წარმოდგენა გაგვაჩნია, მაგრამ შემდეგში კომპეტენტური პირებისგან მოვისმენთ სწორ განმარტებას და გავიგებთ რა ყოფილა სწორი. მეჩეთში ამის საშუალება მუდმივად უნდა იყოს.

ხუტბას წამკითხველსა და მსმენელებს შორის ურთიერთკავშირი

დღეს ხუტბას იმამები კითხულობენ. ხუტბას მსმენელამდე სრულად მისატანად საჭიროა ვფლობდეთ ორატორულ ხელოვნებას და ხალხზე მიმართვის ტექნიკას. ამ დროს ასევე მნიშვნელოვანია ჟესტების, მიმიკების და რიტორიკის ეფექტურად გამოყენება. ამრიგად ხუტბას ეფექტურობისა და დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა რელიგიურ პირსა და მრევლს შორის სანდო კომუნიკაცია ჩამოყალიბდეს. ორივე მხარე ერთიმეორის მიმართ პატივისცემას უნდა იჩენდეს და ერთმანეთის საჭიროებები და მოთხოვნილებები უნდა ესმოდეთ. 2006 წელს ხუტბას მომზადების წესში გარკვეული ცვლილებები შევიდა, რასაც ახლა წარმოგიდგენთ.

ამ ცვლილებების 11-ე მუხლის შესაბამისად ყოველი რაიონის მუფტი სულ მცირე ოთხი, მაქსიმუმ კი შვიდი კაცისგან შექმნილ „ხუტბას კომისიას“ ქმნის და ეს კომისია რაიონის მასშტაბით წასაკითხს ყოველკვირეულ ხუტბას მოამზადებს.

ასევე შესაძლებელია კონკრეტული სოფლის ან სხვა დასახლებული პუნქტის საჭიროების მიხედვით კონკრეტული მეჩეთის მრევლს განსხვევაბული ხუტბა შესთავაზოს.

აღნიშნული პრაქტიკა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში მდებარე მეჩეთების იმამებს საშუალებას აძლევს გაითვალისწინონ კონკრეტული ადგილისა და დროის სპეციფიკა და თავის მრევლს შესაბამისი ქადაგება შესთავაზონ. ხუტბას ცენტრალიზებული მომზადება და ყველაგან დარიგება ხუტბას ავტორსა და სამიზნე ჯგუფს შორის პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას არ იძლევა. ავტორსა და ადრესატს ერთნაირი პირობები და ერთნაირი მოთხოვნილებები უნდა ჰქონდეთ, რათა ხუტბას დროს მათი კომუნიკაცია ეფექტური იყოს.

და ბოლოს

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, გლობალიზაციამ, მიმდინარე პროცესებში საზოგადოებრივი ჩართულობის მომატებამ, გამოხატვის თავისუფლებამ, პროპაგანდის საშუალებების მრავალფეროვნებამ და სხვა მსგავსმა ფაქტორებმა სრულად სხვაგვარი დღის წესრიგი შექმნა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის მატარებელია დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი და კონკურენციაზე დამყარებული ვაჭრობა, განათლებისა და მედი-

ასფეროში საზოგადოებრივი ჩართულობა და ინიციატივები და სხვა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე თანამედროვე ადამიანს კულტურისა და აზროვნების მიმართულებით სრულიად ახალი მიდგომები უყალიბდება. შესაბამისად ყოველი ხუტბა თანამედროვე გამოწვევებს სრულად უნდა პასუხობდეს. ადამიანები რელიგიის ცოდნას სწორი ფორმით უნდა იღებდნენ და ასევე უნდა ითვისებდნენ სხვა ღირებულებებს.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ხუტბადან მოლოდინები

ნიაზი უსტა

ყოველდღიურ ცხოვრებას თუ დავაკვირდებით თანამედროვე ადამიანი გაცილებით ნაკლებ დროს უთმობს იმ სფეროს, რაც პირადად მას არ ეხება. ეს ბუნებრივიცაა და არცერთ ადამიანს არ სიამოვნებს, როცა როცა დამატებით რაიმე ევალება ან იძულებული ხდება მოითმინოს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და საკითხთან ახლოს მივიდეთ, მეჩეთში მიმდინარე ქადაგებები შეძლებისდაგვარად მოკლედ უნდა წარიმართოს, განსაკუთრებით ზამთრის ცივ და ზაფხულის ცხელ დღეებში. როგორც ვიცით ხუტბა ძირითადად პარასკევობით ჯუმა ნამაზის წინ იკითხება და ამ დროს მეჩეთებში ხშირად ადგილი არ არის, შესაბამისად მრევლის ნაწილს გარეთ უწევს ხუტბას მოსმენა და ასევე ლოცვაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასაუბრო თემის ეფექტურობისთვის მის შესახებ ხანგრძლივი ლაპარაკი კი არა, მოკლედ და მკაფიოდ თქმაა საჭირო და

თუ საჭიროა ხშირად გამეორებაც დადებითი შედეგის მომტანია.

ხუტბა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიმშვიდის და კეთილდღეობისთვის წვლილის შემტანი ფუნქციისთ უნდა გამოირჩეოდეს. შუამავალი ბრძანებდა, რომ ის მხოლოდ მაღალი ზნეობის სრულყოფისთვის იყო მოვლენილი. ეს ჰადისი ქცევების რეგულირების მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია. დღეს მორწმუნეობის გამოვლინება ქცევებში უფრო მეტადაა საჭირო. საამისოდ კი წამაქეზებელი და მაპროვოცირებელი გზავნილები უფრო მეტი სიხშირით უნდა კეთდებოდეს. ჩემი აზრით შესაფების თვალსაზრისით ზნეობრივი ქცევა ღვთისმსახურებასთან უნდა გათანაბრდეს, რათა სარწმუნოების საზოგადოებრივი ასპექტი ამაღლდეს. შესაბამისად ხუტბა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ უნდა იყოს მიმართული.

სხვა შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას მცდარი აზრი, რომ ღვთისმსახურების შესრულება საკმარიასია და რელიგიურობის სხვა სფეროებში გამოვლინება იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის.

გამომდინარე აქედან, მეჩეთში მოსულ მრევლს უნდა ავუხსნათ რელიგიის საჭი-

როება, მისი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში საჭირო გავლენები და ასევე მისი როლი ქცევების რეგილირების საკითხში.

თუ პირობები იცვლება ეს ცვლილებები უნდა გავითვალისწინოთ. თავის დროზე ეფექტური მოდელი შეიძლება სხვა დროს ისეთი ეფექტური აღარ იყოს. შესაბამისად მრევლის ცნობიერების ამაღლების პროცესში მრველის მდგომარეობა და ზოგადი დინამიკაა გასათვალისწინებელი. ადამიანში რწმენას ბევრი ფაქტორი აყალიბებს. მათ შორისაა ცოდნა, შეხედულებები, გაგება, მსოფლმხედველობა, გონება, აღზრდა და სხვა. ამ ყველაფერის კომბინაციური გავლენით ყალიბდება სარწმუნოებისადმი დამოკიდებულება. სასულიერო პირებმა ეს უნდა გაითვალისწინონ, რათა გაიგონ თუ საიდან მოდის რელიგიური გაგების სხვადასხვაობა. ამის გაგება ზოგადად შემწყნარებლური ატმოსფეროს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ამ დროს უნდა დავფიქრდეთ რატომ არის, რომ ერთი ადამიანი ასე ფიქრობს, მეორე კი სხვაგვარად და ორივეს საკუთარი სიმართლე აქვთ. ამის გაცნობიერება და გათვალისწინება თითოეულ კითხვაზე ლოგიკური პასუხის გაცემაში დაგვეხმარება და ამასთანავე ზემოთ ხსენებული ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ყოველი საზოგადოებრივი წყობა და სისტემა მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთშეთანხმებითა და ჰარმონიული კავშირების შედეგად ფუნქციონირებს. საზოგადოებრივი წყობის შემადგენელი ელემენტებიდან რომელიმეს ან რამოდენიმეს თუ პრობლემა შეექმნა და რელიგია ამ პრობლემას ამომწურავ პასუხს ვერ სცემს, ეს შექმნის სხვა სახის პრობლემებს, რომლებიც რელიგიის სფეროში გადაიკვეთება. ეს ჰგავს ჯაჭვის პრინციპს. რაცარუნდა მაგარი ჯაჭვი იყოს, თუ ჯაჭვის ერთი რგოლი სუსტია მთლიანი ჯაჭვის სიმაგრე ამ ერთი რგოლის მიხედვით უნდა შეფასდეს. საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ელემენტების შემთხვევაშიც ასეა.

რელიგია თეოლოგიური თვალსაზრისით რაც არ უნდა ძლიერი იყოს, მისი სრულყოფილებისთვის აუცილებელია ფუნქციონირებისთვის საჭირო ელემენტების გათვალისწინება.

ყუთხეთი ხუცბას შესახებ

ალი რიზა დემირჯან
გოქჰან ოზჯან
ომერ ოზთოფ

რას ტოვებს ხუტბა დღევანდელი მრევლის წარმოდგენაში?

ალი რიზა დემირჯან

იდეალური ხუტბას თვალსაზრისით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, შინაარსისა და მოცემულ დროსთან შესაბამისობით, ისეთი ხუტბა არ მომისმენია, რომელიც მე და ჩემს ირგვლივ მყოფებზე იმოქმედებდა.

მე მჯერა, რომ ასეთი მოკლე ხუტბეები, რომელთა შინაარსიცა და გამოხატვის ფორმებიც ერთი და იგივეა, სასურველ შედეგებს ვერ მოგვცემს. მინდა ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ.

ყველა რეგიონისა თუ რაიონის მეჩეთები ორ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველი კატეგორიის მეჩეთებში მაღალი დონის ხუტბა უნდა იკითხებოდეს და საამისოდ ყველა რელიგიური პირი, თეოლოგი და ამ მხრივ განათლებული ადამიანი თავისუფლად უნდა იყოს ჩართული.

გოქჰან ოზჯან

ბუნებრივია, უკვე დიდი ხანია ჯუმას ვლოცულობ და შესაბამისად ხუტბასაც ვუსმენ. რა თქმა უნდა ამ ხუტბეებისგან ბევრი რამ ვისწავლე და ბევრ საკითხში გავნათლდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს საკმარისი იყო. აქ საუბარია ოცდაათ წელზე და მთელი ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა იყო ისეთი სწავლებაც, რომელმაც ჩემზე დიდად იმოქმედა. მათი რაოდენობა სამწუხაროდ ძალიან მცირე იყო. ხუტბაში არის აიათები, ჰადისები და სხვა სიბრძნეც, რომლებიც ძალიან ძვირფასია და ჩემი ასეთი დამოკიდებულების მიღმაა. ხუტბა მეჩეთში შეკრებილი ჯამაათის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს და შესაბამისი ფორმითა და ლექსიკით უნდა იყოს გადმოცემული. ხუტბას დროს საზოგადოების თითქმის ნახევარი პირდაპირი გზით ის-

მენს რელიგიურ სწავლებას და ბუნებრივია გვინდა, რომ ეს ყველაფერი შედეგიანი იყოს. მე ვფიქრობ სამი ძირითადი პრობლემაა:

პირველი არის შინაარსის დამკვიდრებული სტილის რუტინად გადაქცევის საშიშროება. ასეთ შემთხვევაში ხუტბა იქნება კვირაში ერთხელ სისტემატიურად განმეორებული თითქმის ერთნაირი შინაარსის ტექსტი. მაგალითად მე ზოგჯერ მეჩეთში მისვლამდე შემეძლო მოსალოდნელი ხუტბას შინაარსისა და ლექსიკის გამოცნობა. ამ დროს საზოგადოებაში არსებული საკამათო საკითხები ხუტბას თემის მიღმა რჩება. სამწუხაროდ ეს ისევ ასე გრძელდება. შესაბამისად ადამიანები დამოკიდებული გახდნენ ტელე-პროგრამებზე, რომლებიც აღნიშნულ საკამათო საკითხებს ხშირ შემთხვევაში არც თუ ისე ეფექტურად და შედეგიანად წარმოაჩენენ. არადა ეს პრობლემა მოგვარებადია და შესაბამისი სწორი მოქმედებების შედეგად ეს ყველაფერი მეჩეთის არენას დაუბრუნდება. თუ შევძლებთ, უფრო ეფექტურად, უფრო მრავალფეროვნად, უფრო ძლიერად რომ გამოვხატოთ სათქმელი...

მეორე პრობლემა ისაა, რომ ჩვენი სასულიერო პირები წლების განმავლობაში ერთი და იგივე საქმის კეთებით გამოწ-

ვეულ დაღლილობას განიცდიან. ამდენი ხანია ძალიან ცოტა მეჩეთში შევხვედრივარ იმამს, რომელიც ხუტბას კითხვისას პირდაპირ ხალხს უყურებს და ესაუბრება. იმამების უმრავლესობა იმ ფურცლებს უყურებს, რომლებიც ხელში უჭირავს და სამწუხაროდ ტექსტსაც ცუდად კითხულობს. ნამაზამდე ამ ტექსტის წაკითხვა და გამეორება ხომ აუცილებელია. სიმართლე რომ ვთქვათ, მე ხშირად ვხედავ, რომ ამ ყველაფრისგან ხალხი მალე იღლება, ყურადღება ეფანტება და ძალიან მალე იშლებიან. ეს პრაქტიკული პრობლემაა და პრაქტიკული ხასიათის პრევენციული ღონისძიებებით უნდა მოგვარდეს. ამის ერთ-ერთი გამოსავალია იმამებმა იზრუნონ თემის აქტუალურობასა და ხალხზე გადაცემის ეფექტურობაზე.

მესამე პრობლემა ისაა, რომ თურქეთის სოციოლოგიის სიღმისეული კვლევა არ მომხდარა და სამწუხაროდ საზოგადოების ყველა ფენაში ზედაპირულობა შეინიშნება. ეს თითოეულ ჩვენგან ეხება და რაღაც დოზით ჩვენზე მოქმედებს. თურქეთში ბოლო პერიოდში გონებრივი არასტაბილურობა საკმაოდ არაჯანსაღი სისწრაფით იმატებს. ამან გამოიწვია ის, რომ თაობათა შორის კულტურული სხვადასხვაობა უფრო მკვეთრი გახდა. სხვადასხვა თაობებში ზოგადი გაგება და ხედვები დიდი კონტ-

რასტულობით გამოირჩევა. მე ვფიქრობ 25 წლამდე ახალგაზრდების ცხოვრებისეული ხედვები უნდა გამოვიკვლიოთ და მათთან მიდგომებიც შესაბამისად დავგეგმოთ.

საკითხი, რა თქმა უნდა საკმაოდ ფართო და სიღრმისეულია. აქ სერიოზული ფიქრი და კვლევებია საჭირო. ეს გამოწვევა სერიოზულად უნდა მივიღოთ და ასევე სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ჩემი მიზანი კრიტიკა არ გახლავთ. ჩემი მიზანი ამ კვლევებში მონაწილეობა და ჩემეული წვლილის შეტანაა. ეს საკითხი საზოგადოების თითოეული წევრის პრობლემაა და მე ვგრძნობ პასუხიმგებლობას.

ომერ ოზთოფი

როგორც ცნობილია დღეისათვის ყოველკვირეული ხუტბეები მზადდება ცენტრალური სისტემით ან რეგიონული სამუფთოების ორგანიზებით. ამას აქვს როგორც დადებითი მხარეები, ისე -უარყოფითიც. ბუნებრივია მეჩეთი არ არის ის ადგილი, სადაც მხოლოდ მოხდენილი საუბარია საჭირო, მაგრამ ხუტბას ცენტრალიზებული მომზადების სისტემა ხელფეხს უკრავს იმ უნარიან და განათლებულ იმამებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტულ მეჩეთში,

კონკრეტული მოთხოვნილებების მქონე მლოცველებს ეფექტური ხუტბა შესთავაზონ.

ხუტბეები ზოგადად სამუფტოებში მზადდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირადად იმ იმამის მიერ მომზადებული ხუტბა, რომელმაც ის უნდა წაიკითხოს და სადმე კაბინეტში მომზადებულ ხუტბას შორის დიდი განსხვავებაა. ამ ყველაფერს თუ დავაკვირდებით ხუტბას მოსმენის პროცესშიც ვიგრძნობთ.

მეორეს მხრივ აღნიშნული ხუტბეები უმეტესწილად აქტუალურ თემებს არ ეხება და ასევე მათი რეგიონის და სოფლის იმამებისთვის დროულად მიწვდენა გვიანდება.

შინაარსის მიხედვით ასეთი ხუტბეების უმეტესობა საოცრად კარგია. გზავნილები, წყაროები და შინაარსი ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია. თუ კარგად წაიკითხეს ასეთი ხუტბა უფრო უკეთესი ხდება. ასეთ ხუტბას სიამაყით ვუსმენ ხოლმე.

თუმცა, ზოგიერთ ხუტბას მოსმენისას ძალიან განვიცდი. მარტო სტამბოლში ყოველ პარასკევს სამ მილიონამდე ადამიანი უსმენს ხუტბას და ამის წარმოდგენაზე უფრო უარეს განცდებში ვვარდები. ეს მა-

შინ ხდება, როცა ხუტბას თემა საერთოდ არ არის აქტუალური. თემის შერჩევისას არ უფიქრიათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შეერჩიათ. ხუტბა შეიცავს გრძელ და დამღლელ წინადადებებს. მსმენელების კულტურული თავისებურებები არ არის გათვალისწინებული. დასაწყისსა და დასკვნას შორის არ არის კავშირი. ბოლოს კი, ხუტბას მოსმენისას მსმენელი იღლება.

მე მჯერა, რომ ამ ყველაფერს თუ ყურადღება მიექცევა, ყველაფერი უფრო შედეგიანი და სასარგებლო იქნება.

რა ადგილი უკავია ხუტბას საზოგადოების რელიგიურ განათლებაში?

ალი რიზა დემირჯან

პარასკევის ხუტბა რელიგიური სწავლების თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა არცერთ რელიგიურ ატივობას არ შეედრება. საამისოდ სამი ძირითადი მიზეზი არსებობს:

ა. ხუტბა ფარზია, ანუ სავალდებულოა.

პარასკევ დღეს, როგორც კი ჯუმის ნამაზის ეზანი იკითხება მლოცველები მე-

ჩეთში იკრიბებიან და ხუტბას ისმენენ და მათთვის ეს სავალდებულო ღვთისმსახურებაა.

ბ. ხუტბა სისტემატიურად ხორციელდება.

ჯუმის ხუტბა არის სისტემატიური ქადაგება, რომელსაც ადამიანები ზრდასრულობიდან სიკვდილამდე ისმენენ.

გ. ხუტბა შეუდარებელია

ხუტბას დიდი მადლი და ვალდებულება გააჩნია. ის ამ მხრივ დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მუსლიმებისთვის რელიგიური დებულებების შესწავლა აუცილებელი მოვალეობაა.

ხუტბას გააჩნია თავისებურებები, რომლებიც მლოცველებისთვის რელიგიური სწავლების თვალსაზრისით უნიკალურია.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ხუტბას მომზადება იდეალურ დონეზე უნდა განხორციელდეს.

გოქჰან ოზჯან

რელიგიური საკითხების საზოგადოებაზე გაცნობა სასულიერო პირებს ევალე-

ბათ და მათ მიერ მომზადებული ხუტბას ეფექტურობა და შედეგიანობა უკიდურესად მნიშვნელოვანია. სწორი სწავლება მნიშნელოვანია როგორც რელიგიური სწავლებისათვის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მუდმივად დიდი ცვლილებები მიმდინარეობს, რელიგიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იკლებს. შესაბამისად რელიგიის ცოდნა და მისი წესებისამებრ ცხოვრება საზოგადოებისა და მისი შემადგენელი ინდივიდების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოთხოვნილებაა. დღეს კომუნიკაციის საშუალებები სწრაფად ვითარდება. ეს განვითარება ცოდნის გადაცემისა და გავრცელებისათვის ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული. ეს ყველა სფეროს ეხება, მაგრამ როცა საქმე რელიგიას ეხება, აქ უფრო მეტი ყურადღება და სენსიტიური დამოკიდებულებაა საჭირო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველკვირეულად ხუტბას მოსახლეობის ნახევარი მაინც უსმენს და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ეს საკმაოდ ძლიერი საშუალებაა. ამდენად ფართო მასებზე გავრცელებადი აქტივობა თავის მხრივ დიდი ღირებულების მატარებელია და შესაბამისად მნიშნელოვანია მისი გეგმაზომიერად გამოყენებაც. ასევე დიდია პასუხისმგებლობაც.

ომერ ოზთოფი

ხუტბა რელიგიური მსახურების აუცილებელი შემადგენელია. ხუტბა ღვთისმსახურებაა. ის გავრცელებული რელიგიური სწავლებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლის მატარებელია. ხუტბა მოწოდებაა. ის მოგვიწოდებს მოვუსმინოთ ღმერთს და მივყვეთ შუამავლის გზას. ის მოგვიწოდებს სიკეთისა და სილამაზისაკენ. ის გვასწავლის როგორ ავარიდოთ თავის ბოროტებას და ცოდვას. ის მოგვიწოდებს მორწმუნეთა სულების გაცოცხლებისაკენ. ყოველი მორწმუნე ვალდებულია ამ მოწოდებას გული გაუხსნას.

ამ ყველაფერიდან გამომდინარე იმ მორწმუნე ძმებისთვის, რომლებიც პარასკევობით მეჩეთში მოდიან, მხარდამხარ დგებიან და ხუტბას უსმენენ, სრულყოფილად შემკული ხუტბა მოვამზადოთ. შესაბამისად ყველა მოძღვარი უნდა გრძნობდეს იმ პასუხიმგებლობას, რასაც მინბერზე ასვლა და ხალხის წინაშე წარსდგომა ჰქვია. იმამს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა, გადმოცემის უნარი, მყარი რწმენა და შესაფერისი ცხოვრების სტილი. ხალხზე შესათავაზებელი ხუტბა ზუსტად შერჩეულ შინაარსს და აქცენტებს უნდა შეიცავდეს.

როგორი უნდა იყოს იდეალური ხუტბა? რას უნდა ველოდოთ ხუტბასაგან?

ალი რიზა დემირჯან

ისლამი არის სარწმუნოება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას სრულიად მოიცავს. გამომდინარე აქედან ისლამის ყველა სწავლება, რომელიც შეეხება ადამიანის პირადულ, საზოგადოებრივ თუ სოციალურ მიმართულებას, ადამიანებამდე სრულად უნდა იქნას მიტანილი.

ა. ხუტბა ყველა საკითხს უნდა ეხებოდეს.

ყურანისა და მისი პრაქტიკული მხარის, ანუ სუნას ყველა საკითხი ხუტბას თემა უნდა გახდეს.

ასევე უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებები, მშვიდობა, კეთილდღეობა, ქორწინება, სიყვარული, სიძულვილი, ცოდვა, მადლი და სხვა მრავალი საკითხი

ბ. ხუტბა საზოგადოებრივ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს.

ნამაზი, ღვთისმსახურება, მადლი, ცოდვა, პროცენტი, ბოროტების წინააღმდეგ ბრძო-

ლა, მრეშობა, მუსიკა, სპორტი, ესტეთიკა და სხვა მსგავსი საკითხები საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი შემადგენელია. ადამიანი ამ ყველაფერთან ერთად ცხოვრობს.

ბ. ხუტბა ხალხში გავრცელებულ ეჭვებს უნდა აქარწყლებდეს.

შესაძლო კითხვებს, რომლებიც ხალხშია გავრცელებული, ხუტბა ამომწურავად უნდა პასუხობდეს და ამის დასტურად მაგალითები ყურანიდან უნდა იქნას მოყვანილი.

დ. ხუტბა არასწორი ინტერპრეტაციების საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

ხუტბაში გაჟღერებული საკითხები ეჭვს არ უნდა იწვევდეს და რწმენისა და ქცევის კუთხით სრულიად ამომწურავი უნდა იყოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგიერთი საერო ვალდებულება რელიგიურად არ უნდა წარმოვაჩინოთ და ხალხს ფარზად არ უნდა წარვუდგინოთ.

ე. ხუტბაში ცოდნასა და გრძნობას შორის წონასწორობა უნდა იყოს დაცული და ეს ყველაფერი სადად და მარტივად უნდა იქნას გადმოცემული.

გოქჰან ოზჯან

სიმართლე გითხრათ ამ შეკითხვაზე ზეპირი პასუხის გაცემა არ მსურს. როგორი უნდა იყოს იდეალური ხუტბა? ამ შეკითხვაზე პასხის გასაცემად სწორი იქნება თუ ჩავატარებთ მნიშვნელოვან კვლევებს და სიღრმისეულ ანალიზს გავაკეთებთ. ხუტბას საფუძველში რა თქმა უნდა რელიგიური ფაქტორია, მაგრამ ამასთანავე მისი შემადგენელი სხვა კომპონენტებიც არსებობს, ისეთები, როგორიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ორატორული ხელოვნება, ლექსიკა, ლიტერატურა და სხვა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ მსმენელთა კატეგორიის მრავალფეროვნება; მათი განათლება, ასაკი, მსოფლმხედველობა და ა.შ. იგივე უნდა ვიფიქროთ იმ სასულიერო პირებზე, რომლებიც ხუტბას ამზადებენ და ხალხს წარუდგენენ. მე არ ვიცი რამდენად შესაძლებელი იქნება ეს პრაქტიკულად, მაგრამ ვისურვებდი, რომ ამ მიმართულებით სერიოზული კვლევები ჩატარდეს. ასეთი კვლევის შედეგად ხუტბასა და საზოგადოებრივ მოლოდინებს შორის არსებული შეუთანხმებლობა მნიშვნელოვნად აღმოიფხვრება. ასევე შესაძლებლობა მოგვეცემა არსებული დროისა და პირობების მიხედვით მოვამზადოთ ხუტბა. ამით უფრო მრავალფეროვან მიმართულებას ავირჩევთ, რუტინულობას თავს დავაღწევთ

და ადამიანების გულებსა და გრძნობებამდე იოლად მივაღწევთ. კიდევ ბევრი რამის გაკეთება და გათვალისწინება შეიძლება, მაგრამ ერთ კვლევაში სხვადასხვა მიმართულების ჩართულობით შეიძლება გადავტვირთოთ და შედეგი ეფექტური აღარ იყოს.

ომერ ოზთოფი

თანამედროვე ადამიანი პრესის, ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით მრავალფეროვან ინფორმაციას ღებულობს. ასეთი ინფრომაცია როგორც წესი შერეულია და რაიმე სისტემატიურობით არ ხასიათდება. ასევე საკამათოა ამგვარად მიღებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაც.

ამგვარი არასტაბილური და საეჭვო ინფორმაციის მიღებისგან მორწმუნეთა დასაცავად ისევ და ისევ სასულიერო პირებმა უნდა იზრუნონ და მათი როლი დიდია.

იდეალურ ხუტბას იდეალისტი იმამი სჭირდება, რომელსაც ბოლომდე გააზრებული აქვს საკუთარი მოვალეობის მნიშვნელობა და ამ მოვალეობის საუკეთესო ფორმით შესრულება სწადია. მისი ქცევები გულწრფელი და შინაარსიანია, რითიც

მსმენელთა გულებამდე იოლად აღწევს. ასეთი იმამი მხოლოდ მაღალი იდეალებისთვის ზრუნავს და ამქვეყნიურ წვრილმან გამოსარჩენს ყურადღებას არ აქცევს. იდეალისტი იმამი ხუტბას მომზადებას მინიმუმ ერთი კვირის წინ დაიწყებს და ყველა დეტალს გაითვალისწინებს.

იდეალური ხუტბა რომ მოვამზადოთ საამისოდ ზუსტი და მიზანმიმართული თემა უნდა შევარჩიოთ. ხუტბაში აიათი და ჰადისი თემის მიხედვით ზუსტად უნდა შევარჩიოთ. ხუტბას ლექსიკა მარტივი და ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. იდეალურ ხუტბაში მსმენელთა თავისებურებებია გათვალისწინებული და შესაბამისად კარგად მომზადებულია.

იდეალურ ხუტბაში დაცულია ზომიერება. ღვთიური დაპირებაც და გაფრთხილებაც ზომიერადაა გამოყენებული. ხუტბას კითხვისას დაუშვებელია ყვირილი და უხეშობა. ხუტბა არ უნდა იყოს რადიკალური, რომლესაც მსმენელების დაძაბვა შეუძია. სასურველია ტკბილად, ლაკონურად და მარტივად გადმოვცეთ.

იდეალური ხუტბა ეს არ არის დიდი ზომის, ხანგრძლივი და დამღლელი მოწოდებები. იდეალურ ხუტბაში დრო ზედმიწევნით არის შერჩეული. ხალხის მოსმენის

უნარი არ უნდა გადავლახოთ და შევეცადოთ მოკლედ და გასაგებად მივიტანოთ სათქმელი მსმენელამდე. ხანგრძლივი და ერთფეროვანი ხუტბა მსმენელზე უარყოფითად მოქმედებს.

ასევე არ არის სასურველი, როცა იმამი შესაბამისად არ არის მომზადებული და ხუტბას ბორძიკით კითხულობს. ეს ყველაფერთან ერთად საკუთარი თავის მიმართ უპატივცემულობაა.

გარდა ამისა ხუტბას კითხვისას არასწორი სიტყვის ან წინადადების წარმოთქმა ხუტბას დიდად აზიანებს. სიტყვა ხმალივითაა. ამიტომაა, რომ იმამმა უმჯობესია წინასწარ მომზადებული და დაწერილი ხუტბა წაიკითხოს.

ჩემი აზრით დიდ მეჩეთებშიც კი ხუტბას ხანგრძლივობა 10-12 წუთს არ უნდა სცილდებოდეს.